

## EU4Energy მმართველობის პროექტი

EU4Energy Governance პროექტი არის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტექნიკური დახმარების პროექტი, რომელიც EU4Energy-ის ინიციატივის ფარგლებში ხორციელდება. იგი ორიენტირებულია აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების ენერგოსექტორში მომუშავე ხელისუფლების წარმომადგენლებზე და ხელს უწყობს საკანონმდებლო და მარეგულირებელი ბაზის გაძლიერებას, ასევე საინვესტიციო შესაძლებლობების გამოვლენას ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის პროექტებში.

ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნო ამ პროექტის ფარგლებში ტექნიკურ დახმარებას უწევს აღმოსავლეთ პარტნიორობის სამ ქვეყანას: საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას; ისინი უკვე წარმოადგენენ ენერგეტიკული -გაერთიანების წევრ ქვეყნებს. პროექტის რეგიონალურ საქმიანობაში ასევე ჩართულია სომხეთი, აზერბაიჯანი და ბელორუსია.

ენერგეტიკული სექტორის გამართულად ფუნქციონირებისთვის აუცილებელია მკაფიო წესები და რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ კონკურენტულ და სამართლებრივ გარემოს. ამგვარი წესებისა და რეგულაციების დანერგვამ მომხმარებლებს, ბიზნეს-სექტორს და მრეწველობას შეიძლება მოუტანოს შემდეგი სარგებელი:

- ელექტროენერჯის შემცირებული გადასახადები
- ენერგომომარაგების საიმედოობისა და უსაფრთხოების გაზრდა
- მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება
- გარემოსთვის ზიანის შემცირება
- ენერგეტიკული სიღარიბის

## EU4Energy ინიციატივა

EU4Energy ინიციატივა მოიცავს ევროკავშირის მხარდაჭერის ყველა ინსტრუმენტს ენერგომომარაგების, უსაფრთხოებისა და კავშირების გასაუმჯობესებლად, ასევე ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგორესურსების გამოყენების გასაუმჯობესებლად აღმოსავლეთის პარტნიორ ქვეყნებში: სომხეთში, აზერბაიჯანში, ბელორუსში, საქართველოში, მოლდავეთსა და უკრაინაში. ევროკავშირის მხარდაჭერა უზრუნველყოფილია პროექტების და პროგრამების დაფინანსებით, რომლებიც ხელს უწყობენ ენერგეტიკული ბაზრების რეფორმირებას და ეროვნული ენერგეტიკული დეფიციტის და მოხმარების შემცირებას. გრძელვადიან პერსპექტივაში, აღნიშნული ენერჯის მიწოდებას უფრო საიმედოს, გამჭვირვალეს და ხელმისაწვდომს ხდის, რითაც ამცირებს ენერჯის დეფიციტს და ენერგო მოხმარების გადასახადებს როგორც მოქალაქეებისთვის, ისე კერძო სექტორისთვის.

## ერთობლივი მუშაობა

პროექტის მიმართ აღმოსავლეთ პარტნიორი ქვეყნების ვალდებულებისა და საკუთრების უზრუნველსაყოფად, EU4Energy მჭიდროდ თანამშრომლობს ქვეყნების ხელისუფლებებთან, მხარდაჭერის პრიორიტეტული სფეროების განსაზღვრის მიზნით. თითოეული სფეროსთვის ყველა დაინტერესებული ინსტიტუტის წარმომადგენლებით შემდგარი სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბებით EU4Energy მმართველობის გუნდი უზრუნველყოფს, რომ შესაბამისი ღონისძიებები გატარდება ახლად შემუშავებულ რეგულაციასა თუ კანონმდებლობასთან მიმართებაში. ამავე დროს, ახალი კანონმდებლობის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით სამუშაო ჯგუფის წევრებს უტარდებათ ტრენინგები და ხდება გამოცდილებისა და წარმატებული მაგალითების გაზიარება.



**EU4Energy რეგიონალური ოფისი**  
სანაპიროს ქ. N2, თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 032 299 10 17

**ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნო**  
Am Hof 4, Level 5-6, 1010 Vienna, Austria  
Tel. +431 535 2222

EU4Energy@energy-community.org  
[www.energy-community.org/regionalinitiatives/EU4Energy.html](http://www.energy-community.org/regionalinitiatives/EU4Energy.html)

#EU4Energy  
#EnergyReforms4Citizens  
#EU4Georgia

ეს ბროშურა დამზადებულია ევროკავშირის დახმარებით EU4Energy ინიციატივის ფარგლებში. პროექტის შინაარსი არის ენერგეტიკის საზოგადოების სამდივნოს სრული პასუხისმგებლობა და არააითარ შემთხვევაში არ შეიძლება მოხდეს ევროკავშირის რეკომენდაციების უგულვებელყოფა.



საქართველო

# EU4Energy

## მმართველობის პროექტი

პროექტის საქმიანობის მიმოხილვა (2018-2019 წლები)

## ⚡ ელექტროენერჯის ბაზარი

„ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ კანონპროექტის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, EU4Energy მმართველობის პროექტი ჩართულია და დახმარებას უწევს მეორადი საკანონმდებლო აქტების შემუშავების პროცესს. კანონმდებლობა შემუშავდა სალიცენზიო პირობების, უნივერსალური მომსახურების და ბოლო არლტერნატივის მომსახურების წესების, განაწილების სისტემის ოპერატორის შესაბამისობის გეგმისა და ტრანს-სასაზღვრო ხაზზე სიმძლავრის განაწილების წესების უზრუნველსაყოფად.

**სარგებლო მოქალაქეებისთვის**

უნივერსალური მომსახურება: მოსახლეობას მიეწოდება განსაზღვრული ხარისხის ელექტროენერჯია არადისკრიმინაციული ფასებით.

განაწილების სისტემის ოპერატორის შესაბამისობის გეგმა უზრუნველყოფს ელექტროენერჯის ბაზრის რეფორმირების პროცესის გამჭვირვალებას.

ტრანს-სასაზღვრო ხაზზე სიმძლავრის განაწილება: ელექტროენერჯის სტაბილური მიწოდება რეგიონალურ საბაზრო ფასთან კორელაციაში.

## 🔥 გაზის ბაზარი

მომზადდა მეორადი კანონმდებლობის სამი დოკუმენტი: ბუნებრივი აირის განაწილების ქსელის კოდექსი; ბუნებრივი აირის გადაცემის და შენახვის ტარიფის მეთოდოლოგიები. ასევე დახმარება იქნა გაწეული გაზის ბაზრის წესების შემუშავებისას.

**სარგებლო მოქალაქეებისთვის**

ხარჯების გამჭვირვალე დაანგარიშება, მომხმარებლებისთვის სამართლიანი ტარიფის

გაზის ღია ბაზარი იზიდავს ინვესტიციებს და უზრუნველყოფს მომხმარებლისთვის გაზით სტაბილური მომარაგებას.

## 🏢 ენერგოეფექტურობა

EU4Energy მმართველობის პროექტი ეხმარება საქართველოს ახალი კანონის შენობების ენერჯეტიკული მახასიათებლების მიღებასა და რიგი მეორადი კანონმდებლობისა და შესაბამისი რეგულაციის მომზადებაში. დახმარების განევა მოხდა შენობების ენერგოეფექტურობის სერთიფიკატის შესახებ რეგულაციის მოსამზადებლად, მათ შორის გაანგარიშების მეთოდისა და თითოეული კლასისთვის ეროვნული მნიშვნელობების (A, B, C და ა.შ.) განსაზღვრით.

**სარგებლო მოქალაქეებისთვის**

უძრავი ქონების სამომავლო მესაკუთრეებს ან დამქირავებლებს ექნებათ ინფორმაცია ენერჯის ხარჯების შესახებ შესაბამისი ინვესტიციის განხორციელებაში.

მოქალაქეები დაზოგავენ ფულს საკუთარი ენერჯო მოხმარების გადასახადებზე და გააუმჯობესებენ სახლის კომფორტს და გარემოს.

# საქართველო

ძირითადი მაჩვენებლები და ციფრები პროექტის განხორციელების შესახებ

სამუშაო პროგრამა 1*	14	6	14	81
სამუშაო პროგრამა 2**	8	3	18	199
სულ დღემდე	22	9	32	280

\*May 2017 – May 2018  
\*\*June 2018 – April 2019

სამართლებრივი აქტები/კვლევები    შიქმენა სამუშაო ჯგუფები    ორგანიზებული სემინარები და შეხვედრები    დატრენინგდა ოფიციალური პირები



## კონსენსუსის მიღწევა ენერჯეტიკის სექტორის რეფორმებთან დაკავშირებით

მაღალი დონის პოლიტიკის შესახებ დისკუსიის საშუალებით, კონკრეტული რეფორმების განხორციელების საჭიროება უმაღლეს დონეზე განიხილება, რაც უზრუნველყოფს ყოველი შემთავაზებული ახალი კანონმდებლობის მკაფიოდ გააზრებას და მათ დამტკიცების დაჩქარებას. მაღალი დონის პოლიტიკის დისკუსია ასევე მოიცავს დისკუსიას დაინტერესებულ მხარეებთან და იძლევა პასუხებს დაინტერესებული მხარეების კრიტიკულ კითხვებზე ენერჯეტიკის რეფორმებთან დაკავშირებით.

ჩატარდა მაღალი დონის პოლიტიკის დისკუსიის ორი შეხვედრა, რომლებიც დაეთმო ენერგოეფექტურობის საკითხებს და ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის ბაზრის რეფორმებს. 2018 წლის 4-5 ოქტომბერს თბილისში ჩატარდა მაღალი დონის პოლიტიკის დისკუსიები ბუნებრივი აირის ბაზრის დიზაინის შესახებ, რომელიც ეხებოდა საქართველოში გაზის ბაზრის მიმდინარე და დაგეგმილ რეფორმებს, გაზის ბაზრის გახსნის მომდევნო ნაბიჯებს და რეფორმის გავლენას ადგილობრივ მომხმარებლებზე.

მაღალი დონის პოლიტიკური დისკუსიის შეხვედრა ენერგოეფექტურობისა და ელექტროენერჯის ბაზრის რეფორმასთან დაკავშირებით (2019 წლის 1-2 თებერვალი, ბოტოში) აერთიანებდა კანონმდებლებსა და პარლამენტის წევრებს. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში გამართულმა განხილვებმა გააღრმავა დაინტერესებული მხარეთა ჩართულობა ენერჯეტიკის სექტორის რეფორმებში და გააუმჯობესა მათი ინფორმირებულობა ენერგოეფექტურობის ზომების დანერგვით მიღწევადა ახალი შესაძლებლობების შესახებ. დიალოგმა ხელი შეუწყო კონსენსუსის მიღწევას „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“ კანონის და „ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ კანონის ძირითად სამართლებრივ დებულებებთან დაკავშირებით.